პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 28 თებერვალი, 1950 წ. № 45 (8605). ფასი 20 კაპ.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ იმას, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო კვლავაც იყოს მძლავრი და თავისუფალი, რომ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო იყოს ძლიერი და უძლეველი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

## ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ

### საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს საბჭოთა ხალხი წელს აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინადღეებში, იმ პირობებში, როცა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას მოუცავს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, რომლებიც ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას და ნდობას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, თავის უსაზღვრო ერთგულებას კომუნიზმის საქმისადმი.

ომისშემდგომი ხუთწლედის წლებში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, მნიშვნელოვნად აამაღლა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. ეს წარმატებანი მოწმობენ საბჭოთა წყობილების დიად ცხოველმყოფელ ძალას, მის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე.

ჩვენი ქვეყნისათვის უცხოა კრიზისები და უმუშევრობა. საბჭოთა კავშირში განუხრელად იზრდება ეროვნული შემოსავალი, თანმიმდევრულად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, იზრდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარებაზე, შვებულებათა ანაზღაურებაზე, უფასო სამედიცინო დახმარებაზე და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებში სწავლებაზე. მარტო 1949 წელს სახელმწიფომ ამ მიზნებისათვის 110 მილიარდ მანეთზე მეტი დახარჯა. ფართო მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სტალინური ზრუნვის შედეგად საბჭოთა ქალების, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხის, ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება.

კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები 8 მარტს ხვდებიან ახალი ეკონომიური კრიზისის მოახლოვების, უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდის პირობებში. განსაკუთრებით დიდ გაჭირვებას განიცდიან მშრომელი ქალები. მათ პირველ რიგში ერეკებიან სამუშაოდან, ისინი უფრო დაბალ ხელფასს იღებენ, ქალები და ბავშვები ყველაზე მეტად განიცდიან შიმშილსა და სიღატაკეს, რასაც კაპიტალიზმი მშრომელ მასებს უმზადებს.

ოქტომბრის რევოლუციით შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ ქალს მოუტანა სრული განთავისუფლება სოციალური, ეკონომიური და სულიერი მონობისაგან. ქალთა განთავისუფლების დიადი საქმე განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით. საბჭოთა კავშირში ქალებს არა მარტო მინიჭებული აქვთ პოლიტიკური უფლებები, არამედ უზრუნველყოფილიც არის ამ უფლებათა სინამდვილეში განხორციელება იმის მეოხებით, რომ ქალებს მინიჭებული აქვთ მამაკაცის თანაბარი უფლებანი შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა.

საბჭოთა ქალები აქტიურად იყენებენ თავიანთ უფლებებს. 277 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. 1.700-ზე მეტი ქალი არჩეულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში და ნახევარ მილიონამდე ქალი—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში. საბჭოთა ხალხის საუკეთესო ქალები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული მომავალ არჩევნებში.

ჩვენი ქვეყნის ქალების შემოქმედებითი ძალა თავს იჩენს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მილიონობით პატრიოტი ქალი თავდადებულად შრომობს საწარმოებში და მშენებლობებზე. 327 ათასზე მეტი ქალი მუშაობს ინჟინრად და ტექნიკოსად. ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა ქალები აუმჯობესებენ თავიანთ ოსტატობას, ეუფლებიან მოწინავე ტექნიკას და წარმოებაში მუშაობის ახალ მეთოდებს.

კოლმეურნე ქალები უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ყოველმხრივ გადიდებისათვის, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის უსწრაფესი განხორციელებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში არიან. ათასობით ქალი მუშაობს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ათეულ ათასობით ქალი მუშაობს ტრაქტორისტად, კომბაინერად, ასეულ ათასობით კოლმეურნე ქალი მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, მერგოლური და მეცხოველეობის ფერმის გამგეა.

საბჭოთა ქალებს შექმნილი აქვთ ყველა შესაძლებლობა მეცნიერებისა და კულტურის დასაუფლებლად. ქალები ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. ქალები—მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები და აგრონომები თავიანთი გამოკვლევებით, გამოგონებებით და აღმოჩენებით ამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერებას, ამრავლებენ მის დიდებას, ქალები — ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეები ქმნიან მაღალიდეურ ნაწარმოებებს, რომლებიც აღაფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს ახალი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 289 ქალს მინიჭებული აქვთ სტალინური პრემიები.

უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა ქალები სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 900 ათასამდე საბჭოთა მასწავლებელი ქალი ზრდის მოზარდ თაობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით. მილიონზე მეტი ქალი შრომობს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, ამბულატორიებში, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციებში.

საბჭოთა ქალების შრომითს გმირობას ფაბრიკებსა და ქარხნებში, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში დიდად აფასებს საბჭოთა მთავრობა. ნახევარ მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 1.600 ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

საბჭოთა კავშირში შექმნილია დედისა და ბავშვის დაცვის სახელმწიფო სისტემა. ქალებს ეძლევათ ხელფასიანი შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, მოწყობილია საბავშვო ბაგების, ბაღების, კონსულტაციების ფართო ქსელი. პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ქალზე—დედაზე, რომელიც ზრდის ახალგაზრდა თაობას — ჩვენი სამშობლოს მომავალს. 2.770 ათასი ქალი დაჯილდოებულია ორდენით „სახელოვანი დედა“ და „დედობის მედლით“. „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიიღო 30.750 ქალმა. მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს ყოველწლიურად ეძლევათ დახმარების სახით რამდენიმე მილიარდი მანეთი.

საბჭოთა ქალების თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება აღმაფრთოვანებელი მაგალითია მთელი მსოფლიოს ქალებისათვის. განხორციელებულია ქალთა თანასწორუფლებიანობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩრდილოეთ კორეის, ჩინეთის დიდი სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალი ქალები აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ქალთა საერთაშორისო დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები ატარებენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ახალი ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ მებრძოლი ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალების შემდგომი ზრდის ვითარებაში. კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა მშვიდობის ორგანიზებული ფრონტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, და რომელიც აერთიანებს მშვიდობისათვის ასეულ მილიონობით მებრძოლს. მშვიდობის მომხრეთა ფრონტი წარმოადგენს მძლავრ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს ალაგმოს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები და ჩაშალოს მათი აგრესიული გეგმები.

მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდ ძალას წარმოადგენს ქალთა დემოკრატიული მოძრაობა. ქალებს არ შეუძლიათ და არ სურთ ჩამორჩნენ მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეს. ოთხმოცი მილიონი ქალი უკვე გაერთიანდა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში. მშვიდობისათვის ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში არიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი ჩაატარონ 1950 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მშრომელ ქალთა მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით. მუშა, ინჟინერ და ტექნიკოს ქალთა საწარმოო აქტივობა მიმართული უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის განხორციელებისაკენ. კოლმეურნე ქალთა უმნიშვნელოვანესი ამოცანებია მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულება, ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნა. მეცნიერებისა და კულტურის მუშაკ ქალთა მოვალეობაა წინ წასწიონ ჩვენი მეცნიერება, გაამდიდრონ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ახალი მაღალმხატვრული, იდეური ნაწარმოებებით, უფრო მეტად აამაღლონ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან უფრო გაბედულად და გადაჭრით დააწინაურონ მოწინავე ქალები ხელმძღვანელ პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ სამუშაოზე, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ მუშაობასა და იდეურ-პოლიტიკურ ზრდაში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოაგონებს, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურება საარსებოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წარმოებაში ქალთა შრომის დაცვის გაძლიერებას, სასადილოების, მაღაზიების, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროა გაძლიერდეს მზრუნველობა დედისადმი, გაეწიოს მას მუდმივი დახმარება მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, განხორციელდეს შეუსუსტებელი კონტროლი იმ სახსრების გამოყენებისადმი, რასაც სახელმწიფო იძლევა სამშობიარო სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების გასაწევად.

საბჭოთა ქალებმა კვლავაც უნდა განამტკიცონ ინტერნაციონალური კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებთან და კაპიტალისტური ქვეყნების ქალებთან და მათთან ერთად იბრძოლონ ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს—მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მასწავლებლებს, მედიცინის მუშაკებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში და მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში, კვლავაც იქნებიან საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

---

მოსკოვი

## ამხანაგ სტალინს

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებს. ვტოვებთ რა დიად ქვეყანას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, გულწრფელად გიძღვნით დიდ მადლობას თქვენ და საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებელ ამხანაგებს გულთბილი და თავაზიანი სტუმართმოყვარეობისათვის.

განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ!

მაო ძე-დუნი

---

მოსკოვი

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ვიშინსკის

მოსკოვიდან გამოსვლის შემდეგ მთელ გზაზე, აგრეთვე ქალაქებში სვერდლოვსკში, ომსკში, ნოვოსიბირსკში, კრასნოიარსკში, ირკუტსკსა და ჩიტაში საბჭოთა ამხანაგები უდიდესი ყურადღებით გვეპყრობოდნენ. ვტოვებ რა ჩვენს დიად მოკავშირე ქვეყანას, გულწრფელად მოგახსენებთ გულითად მადლობას ყოველივე ამისათვის.

მარად ცოცხლობდეს ჩვენი სახელმწიფოების მეგობრობა და თანამშრომლობა!

ჯოუ ენ-ლაი

---

## სსრ კავშირიდან გაემგზავრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი

26 თებერვალს სსრ კავშირიდან სამშობლოში მიმავალმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მაო ძე-დუნმა, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ, პროფესორმა ჩენ ბო-დამ, ბ-ნებმა ოუ იან-ცინმა, ში ჯემ, ე ძე-ლუნმა, ვან დუნ-სინმა და მათმა თანმხლებმა სხვა პირებმა გაიარეს სასაზღვრო სადგური ოტპორი.

მიმავალნი სადგურ ოტპორზე გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ლავრენტიევმა, ჩიტის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ პ. ფ. უეოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა და ამიერბაიკალის სამხედრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლებმა.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და გამოფენილი იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. (ტასსი).

---

## სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ მაო ძე-დუნის ყოფნის გამო

24 თებერვალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი და მათი თანმხლები პირები, რომლებიც მოსკოვიდან ჩინეთს მიემგზავრებოდნენ, რამდენიმე საათით შეჩერდნენ ირკუტსკში.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, ინახულეს ჩაის საწნეხი ფაბრიკა, გაეცნენ პიონერთა სასახლის მუშაობას.

ადგილობრივი საზოგადოებრივი წრეები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს.

★

მოსკოვიდან ჩინეთს მიმავალნი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი და მათი თანმხლები პირები 25 თებერვალს ჩიტაში შეჩერდნენ.

სტუმრებმა ჩიტაში რამდენიმე საათს დაჰყვეს, ინახულეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბანი და ერთ-ერთი საშუალო სკოლა.

ადგილობრივი საზოგადოებრიობა სტუმრებს გულთბილად შეხვდა.

---

## ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შედგა ამომრჩეველთა პირველი შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან.

გუშინ, 27 თებერვალს, ლ. პ. ბერიას სახელობის კლუბში შეიკრიბნენ **თბილისის საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქის** მშრომელთა წარმომადგენლები.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. გახოკიძე.

— ჩვენი ქვეყნის ადამიანები, — თქვა მან, — დიდი სიხარულის დღეებს განიცდიან, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხები 1950 წლის 12 მარტს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ეს უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ჩვენი ხალხის დიდი მონაპოვარია. ამას ჩვენ ვუმადლით ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს. დიდი სტალინი არის მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი, იგი არის ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამიტომ არის, რომ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში ერთნაირი სიყვარულით ახსენებენ პროგრესული კაცობრიობის იმედისა და მასწავლებლის დიდი სტალინის სახელს.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელებს უდიდესი ბედნიერება ხვდათ წილად. ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ბერიამ თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის საარჩევნო ოლქში. ჩვენ ვიზიარებთ სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ამ სიხარულს.

— თბილისის № 1 ტყავის ქარხნის კოლექტივმა, — განაგრძობს ამხ. გახოკიძე, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. კ. ჩარკვიანი, ხოლო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე. ამხანაგმა ჩარკვიანმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 599 საარჩევნო ოლქში, ხოლო ამხ. ზამბახიძემ — ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 144 საარჩევნო ოლქში. მოგიწოდებთ 12 მარტს ხმა მისცეთ ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილებს ამხანაგ ჩარკვიანს და ამხ. ზამბახიძეს.

მქუხარე ტაში ფარავს ორატორის უკანასკნელ სიტყვებს.

სიტყვას იღებს სტალინური პრემიის ლაურეატი, არქიტექტორი ამხ. ა. ქურდიანი.

—არჩევნებისათვის მზადება, —თქვა ორატორმა, — ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარშემო მისი მტკიცე დარაზმულობის ბრწყინვალე დადასტურებაა. დიდი სტალინის გენიალური სახელი ყველაზე ძვირფასი და მახლობელია საბჭოთა ადამიანისათვის. როდესაც ჩვენ ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ერთხელ კიდევ დავადასტურებთ ჩვენს სიყვარულს იმ პარტიისადმი, რომელმაც ესოდენ ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა.

მოგიწოდებთ 1950 წლის 12 მარტს ხმა მისცეთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. გ. ზამბახიძეს.

№ 2 სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველმა ე. ნონიკაშვილმა, დიასახლისმა მ. ნესტოროვამ, ძაფსართავი ქარხნის ინჟინერმა ე. პეტროსოვმა, ექიმმა აბაშიძემ, 34-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა დ. ლომთაძემ, ქალთა მე-3 საშუალო სკოლის დირექტორმა მ. მახარაძემ, პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ჩოჩიამ და სხვებმა მოუწოდეს ოლქის ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხანაგ კ. ჩარკვიანს და ამხ. გ. ზამბახიძეს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძემ.

ამხ. ზამბახიძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს იგი და აღუთქვა მათ, რომ ძალღონის დაუზოგავად იმუშავებს, რათა გაამართლოს მათი დიდი ნდობა.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებამ მიიღო მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

კრებამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

* * *

მუსიკალური კომედიის თეატრში შეიკრიბნენ **ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინის № 145 საარჩევნო ოლქის** ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები.

პირველი სიტყვა აიღო № 11 საარჩევნო უბნის წარმომადგენელმა, ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ნ. ორჯონიკიძემ, რომელმაც თათბირის მონაწილეებს აცნობა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძის კანდიდატურა.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენს საარჩევნო ოლქში, — განაცხადა თავის სიტყვაში ტრამვაი-ტროლეიბუსის საქართველოს სტახანოველმა ამხ. ვ. ცხვარაშვილმა, — რეგისტრირებულია ამხ. დ. ჭიჭინაძე. მას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენი ოლქის ამომრჩევლები, არამედ მთელი რესპუბლიკის მშრომელებიც. ამხ. დ. ჭიჭინაძე სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორია საქართველოში. მუშაობდა რა მეეტლედ, მან და მისმა ბრიგადამ ორთქლმავლების ნაწილების გამოყენებისას არა ერთი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. ამხ. ჭიჭინაძე ახლა ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. ხალხმა მას დიდი ნდობა გამოუცხადა. იგი სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

თავის სიტყვაში პროფესორმა მ. ჩაჩავამ განაცხადა:

— საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. ჩვენი ოლქის ამომრჩევლები უერთდებიან მოსკოვის სტალინის ოლქის ამომრჩეველთა სიხარულს, რომელთაც ამჯერადაც წილად ხვდათ დიდი პატივი ხმა მისცენ ამხანაგ სტალინს. დიდია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის მშრომელთა სიხარული, განსაკუთრებით კი ჩვენი საარჩევნო ოლქის მშრომელთა სიხარული, რომელთაც წილად ხვდათ უდიდესი ბედნიერება კვლავ ხმა მისცენ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომელმაც თანხმობა განაცხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

— პირობას ვიძლევით, — განაგრძობს ამხ. ჩაჩავა, — პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე. 12 მარტს ხმას მივცემთ სამშობლოს საუკეთესო შვილებს — კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ვ. ფისუნოვა (№ 1 თამბაქოს ფაბრიკის სტახანოველი), ბ. გამრეკელი (მუსიკალური კომედიის თეატრის რეჟისორი), ე. კობახიძე (რკინიგზის მეორე ქალთა სკოლის მოსწავლე), ს. ლანდია (დიასახლისი), რომელთაც მოუწოდეს ოლქის ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა დ. ჭიჭინაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს იმ ნდობისათვის, რომელიც მას გამოუცხადეს და თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს, რათა ღირსეულად გაამართლოს ხალხის ნდობა, განუხრელად ემსახუროს სამშობლოსა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმეს.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე



ამხ. ვ. მ. ბაქრაძე დაიბადა 1901 წელს ონის რაიონის სოფელ სევაში. 1921 წლის მარტში შევიდა წითელი არმიის კავკასიის ცალკე საკავალერიო ბრიგადის 1-ლ ქართულ ცხენოსან პოლკში, სადაც ესკადრონის ზემდეგის თანამდებობაზე მსახურობდა 1923 წლამდე. პოლკში სამსახურის პირველსავე თვეებში მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

1923 წლიდან ამხ. ბაქრაძე იმყოფება ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე—იყო პარტიის მთელი რიგი რაიკომების, სამაზრო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

1934-დან 1937 წლამდე ამხ. ბაქრაძე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1937-დან 1946 წლამდე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1947 წლის მარტიდან ამხ. ბაქრაძე მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საგეგმოვნო, ამჟამად კვების მრეწველობის მინისტრად.

ამხ. ბაქრაძე არის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი დაჯილდოებულია ლენინის სამი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და სამი მედლით.

## სერგი მარტინის-ძე იშხანოვი



ამხ. ს. მ. იშხანოვი დაიბადა 1904 წელს თბილისში. მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის ტრამვაის პარკში. აქვე 1921 წელს შევიდა კომკავშირში, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა ტრამვაელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. აქედან გადადის კომკავშირულ სამუშაოზე ჯერ კომკავშირის არსენალის რაიკომში, ხოლო შემდეგ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტში და ცენტრალურ კომიტეტში.

1925 წელს ს. მ. იშხანოვი შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

1931-1938 წლებში ამხ. იშხანოვს ირჩევენ პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივნად, ალბულაღის რაიკომის მდივნად, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივნად და კიროვის რაიკომის მდივნად, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ამხ. იშხანოვი წარმატებით ასრულებდა მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებებს. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. იშხანოვი სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

1944 წლის დეკემბრიდან ამხ. იშხანოვი არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## კონდრატე სოკრატეს-ძე ციმაკურიძე



ამხ. კ. ს. ციმაკურიძე დაიბადა 1904 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თლუღში. 1920 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1928 წლამდე ამხ. ციმაკურიძე მუშაობდა სოფლის მასწავლებლად, მერმე სწავლობდა მოსკოვსა და ლენინგრადში და დაამთავრა უმაღლესი პედაგოგიური საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი. შემდეგ იგი იმყოფებოდა ხელმძღვანელ სამუშაოზე სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორებში.

1937 წელს ამხ. ციმაკურიძე დაინიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრად. 1947 წლის მარტიდან იგი მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

ამხ. ციმაკურიძე საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1930 წლიდან. იგი არის საქართველოს სსრ პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი.

ამხ. ციმაკურიძე დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე



კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1902 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. 1928 წელს მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

ათი წლის განმავლობაში ამხ. ჭიჭინაძე იმყოფებოდა პროფკავშირულ სამუშაოზე, 1933 წლიდან ამხ. ჭიჭინაძე ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა ყვარლისა და ხობის რაიონებში, ქალაქ ფოთში, ცხაკაიას რაიონში, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც იგი განაგებდა ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა განყოფილებას.

1938 წლის აგვისტოში ამხ. ჭიჭინაძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში დაინიშნა აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. 1943 წლიდან ამხ. ჭიჭინაძე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — მდივნად მეცხოველეობის დარგში, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ მდივნის მოადგილედ ამავე დარგში. 1947 წლიდან იგი განაგებს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას, ხოლო 1948 წლის ნოემბრიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილებას.

ამხ. ჭიჭინაძე არის საქართველოს სსრ პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრი.

ამხ. ჭიჭინაძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

## მამია ალექსის-ძე გოგოლიშვილი



ამხ. მ. ა. გოგოლიშვილი დაიბადა 1912 წელს აჭარის ასს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1928 წელს იგი შევიდა ლენინური კომკავშირის რიგებში.

1933-1934 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ პროფსაბჭოში. შემდეგ იგი სწავლობდა თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1937 წლის ნოემბერში, როცა მეხუთე კურსის სტუდენტი იყო, ამხ. გოგოლიშვილი დაინიშნა აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად. იგი ათავსებდა სწავლასა და მუშაობას და 1938 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. ამავე წელს დაინიშნა აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად.

1944 წლის ოქტომბერში ამხ. გოგოლიშვილი გადაყვანილ იქნა თბილისში საქართველოს სსრ მიწსახკომის ხილბოსტნეულის სამმართველოს უფროსად. 1946 წლის მარტიდან მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილედ.

1947 წლის ოქტომბრიდან ამხ. გოგოლიშვილი მუშაობს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ამხ. გოგოლიშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1939 წლიდან. იგი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრი. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ამხ. გოგოლიშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და ოთხი მედლით.

## დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე



მჭედლიდან ხელმძღვანელ საბჭოთა მუშაკამდე — ასეთია ამხ. დ. ა. ჭიჭინაძის შრომითი გზა. იგი დაიბადა 1902 წელს თბილისში, მუშის ოჯახში და თვითონაც მუშაობა დაიწყო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მჭედლად. ამხ. ჭიჭინაძე სრულყოფილად დაეუფლა თავისი საქმის ტექნიკას, დიდი გადაჭარბებით ასრულებდა გამომუშავების ნორმებს და საქართველოში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები იყო.

წარჩინებული სტახანოველი დ. ა. ჭიჭინაძე 1937 და 1946 წლებში არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1937 წელს იგი დაინიშნა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ჯერ კომერციულ დირექტორად, ხოლო შემდეგ უფროსად.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ამხ. ჭიჭინაძე მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

1945 წლის ივნისიდან ამხ. დ. ა. ჭიჭინაძე მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

ამხ. ჭიჭინაძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი.

## ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა



ქართველი ხალხის მამაცი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის, გვარდიის გენერალ-მაიორ ვ. ნ. ჯანჯღავას სახელი შევიდა დიდი სამამულო ომის გმირულ მატიანეში.

1924 წელს, ჯერ კიდევ კომკავშირელი, ამხ. ჯანჯღავა შედის წითელი არმიის რიგებში, რომელშიც გაიარა სახელოვანი გზა ჯარისკაციდან შენაერთის მეთაურამდე. თეთრფინელებთან ომში მან დიდი მამაცობა და საბრძოლო ოსტატობა გამოიჩინა.

ამხ. ჯანჯღავას მხედრული უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში.

შენაერთმა, რომელსაც იგი მეთაურობდა, გადალახა მდინარე ოდერი, მძიმე ბრძოლებით დაიკავა პლაცდარმი მდინარის მარჯვენა ნაპირზე და უზრუნველყო ბელორუსიის მე-2 ფრონტის შემტევი ჯარების წარმატება. მეთაურის დიდი მხედრული ოსტატობა, პირადი მამაცობა და გამბედაობა ხელს უწყობდნენ საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებას. ამ ოპერაციისათვის შენაერთის მეთაურს ვ. ნ. ჯანჯღავას და 12 ოფიცერსა და მებრძოლს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის გენერალ-მაიორი ვ. ნ. ჯანჯღავა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის სამი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მედლებით.

ამხ. ჯანჯღავა არის საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა



ამხ. ა. მ. ჭოჭუა დაიბადა 1879 წელს აფხაზეთში ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში, მშრომელი გლეხის ოჯახში. 1905 წელს ამხ. ჭოჭუამ დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1905-დან 1921 წლამდე მასწავლებლობდა სოხუმის სკოლებში.

1921 წლის მარტიდან ამხ. ჭოჭუა ინიშნება აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლების განყოფილების გამგედ და სოხუმის 1-ლი შვიდწლიანი სკოლის დირექტორად. შემდგომ წლებში იგი მუშაობს აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ და სახალხო კომისრად, სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად ქალაქ სოხუმში.

1921-დან 1938 წლამდე ამხ. ჭოჭუა იყო აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, 1927-დან 1931 წლამდე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1938 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და შემდეგ თავმჯდომარედ. 1947 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, შემდეგ პრეზიდიუმის წევრად და პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ამხ. ჭოჭუა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1938 წლიდან. სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება აღნიშნულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი დაიბადა 1896 წელს ქალაქ გროდნოში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი გაწვეულ იქნა არმიაში და მას შემდეგ განუწყვეტლივ იმყოფება სამხედრო სამსახურში.

სამოქალაქო ომის წლებში ამხ. ანტონოვი იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ მოსკოვის მუშათა დივიზიისა და მე-15 სივაშის დივიზიის რიგებში.

როგორც ბრიგადის შტაბის უფროსი, იგი მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში დენიკინისა და ვრანგელის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. ანტონოვი მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობს საჯარისო შენაერთთა შტაბის უფროსად.

1928 წელს ამხ. ანტონოვი შედის საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

ამხ. ანტონოვის სამხედრო ნიჭი ბრწყინვალედ გამოჩნდა სამამულო ომის წლებში. ომის პირველ პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა სამხრეთის ფრონტის შტაბის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შტაბის მუშაობას.

1942 წელს ამხ. ანტონოვი დანიშნულ იქნა გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო 1945 წელს საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსად. საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბევრ სახელოვან გამარჯვებაში ჩაქსოვილია გამოცდილი საბჭოთა მხედართუფროსის, სტალინური სამხედრო სკოლის ნიჭიერი წარმომადგენლის ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვის შემოქმედებითი შრომა.

ამხ. ანტონოვი არის სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი.

## ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე



საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ნ. მ. რუხაძე დაიბადა 1905 წელს რუსთავში. 1927 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მთელი რიგი წლების განმავლობაში ამხ. რუხაძე იმყოფებოდა პასუხსაგებ სამუშაოზე გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს — შინსახკომის ორგანოებში.

1937 წელს ამხ. რუხაძე გაიგზავნა პარტიულ სამუშაოზე. 1937-1938 წლებში იგი მუშაობდა საბჭოთა კონტროლის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელად და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიის წევრად საქართველოში, შემდეგ კვლავ გაიგზავნა ხელმძღვანელ სამუშაოზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში.

სახელმწიფო უშიშროების დაცვის დარგში დამსახურებისათვის ამხ. რუხაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლით „მამაცობისათვის“.

სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში მთავრობისა და სარდლობის განსაკუთრებული სპეციალური დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის ამხ. რუხაძე დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ხუთი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით.

ამხ. ნ. მ. რუხაძე არის სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი.

## იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი



ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილი დაიბადა 1906 წელს.

კომკავშირში შესვლის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ეწეოდა ხელმძღვანელ მუშაობას აჭარის კომკავშირულ ორგანიზაციებში, ხოლო შემდეგ პროფკავშირებში. 1924 წელს ამხ. კოჭლამაზაშვილი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

1937 წლამდე იგი იმყოფება ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე ყვარლის, ტყიბულისა და გურჯაანის რაიონებში. 1937 წელს ამხ. კოჭლამაზაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1938-დან 1943 წლამდე ამხ. კოჭლამაზაშვილი მუშაობს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

შემდგომ სამ წელს იგი მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. შემდეგ ამხ. კოჭლამაზაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ მეცხოველეობის მინისტრად, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად. 1948 წლის ოქტომბრიდან იგი საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეა.

ამხ. კოჭლამაზაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. კოჭლამაზაშვილი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია



ლენინურ-სტალინური სკოლის ერთ-ერთ უძველეს რევოლუციონერს — მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიას ფართოდ იცნობენ საქართველოს და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

ამხ. მ. გ. ცხაკაია დაიბადა 1865 წელს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში შევიდა 1898 წელს. ამხ. ცხაკაია მონაწილეობას იღებდა რსდმპ მეორე და მესამე ყრილობების მომზადებაში, იყო მესამე ყრილობის დელეგატი ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან. ამხ. მ. გ. ცხაკაია ამხანაგ სტალინის უძველესი თანამებრძოლია. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობაში.

1907-დან 1917 წლამდე ამხ. ცხაკაია ემიგრაციაში იმყოფებოდა. რუსეთში იგი დაბრუნდა ლენინთან ერთად. მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების აპრილის კონფერენციაში, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის გამოემგზავრა ამიერკავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ამხ. ცხაკაია ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე იმყოფება.

ამხ. ცხაკაია არჩეული იყო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მრავალი წლის ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. მ. გ. ცხაკაია დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ამხ. ცხაკაია არის სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე



ამხ. ს. მ. ჭელიძე დაიბადა 1900 წელს ამბროლაურის რაიონში, გლეხის ოჯახში. 1919 წელს მუშაობა დაიწყო მასწავლებლად. 1921 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1925 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივნად. ამ დროიდან იგი განუწყვეტლივ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე იმყოფება.

1931 წლიდან ამხ. ს. მ. ჭელიძე არის საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ტექნიკური კულტურების სექტორის გამგე, შემდეგ არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივნად.

შემდეგ წლებში ამხ. ჭელიძე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1941 წლიდან დღემდე განაგებს ამ განყოფილებას.

ამხ. ს. მ. ჭელიძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით —ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

## ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა



ამხ. ი. ს. ზოდელავა დაიბადა 1916 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, გლეხის ოჯახში. 1940 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო რკინიგზაზე. ამავე წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და გაიგზავნა პარტიულ სამუშაოზე—საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ინსტრუქტორად.

1943 წლის თებერვლიდან ამხ. ზოდელავა მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში — ჯერ ინსტრუქტორად კადრების განყოფილებაში, ხოლო შემდეგ ამავე განყოფილებაში სექტორის გამგედ.

1945 წელს ამხ. ზოდელავას ირჩევენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1946 წელს პირველ მდივნად.

ამხ. ზოდელავა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ზოდელავა იყო დელეგატი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესისა, რომელიც 1949 წლის აგვისტოში შედგა ბუდაპეშტში.

ამხ. ზოდელავა არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## აკაკი ალექსის-ძე ხორავა



სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის-ძე ხორავა საბჭოთა თეატრის გამოჩენილი მოღვაწეა. ის დაიბადა 1895 წელს. მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა ქართული, რუსული და მსოფლიო კლასიკური რეპერტუარის პასუხსაგებ როლებში და შექმნა მთელი რიგი მაღალმხატვრული სახეები, რომლებმაც მას მოუპოვეს სცენის საუკეთესო ოსტატის სახელი.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ამხ. ხორავა ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტს და ბევრი რამ გააკეთა ახალგაზრდა თეატრალური კადრების აღზრდისათვის, გადასცემდა მათ თავის მდიდარ სასცენო გამოცდილებას და ცოდნას.

1939 წელს ამხ. ხორავა შედის საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1949 წლიდან ამხ. ხორავა არის რუსთაველის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ა. ა. ხორავა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მედლებით.

ა. ა. ხორავა სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატია.

ამხ. ხორავა არის სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წევრი.

## ილია დავითის-ძე კულუხოვი



ილია დავითის-ძე კულუხოვი დაიბადა 1901 წელს გორის მაზრის სოფელ იონჩაში, გლეხის ოჯახში. 1922-1924 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში, 1924 წლიდან ამხ. კულუხოვი მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივნად, შემდეგ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში და კვლავ პარტიულ სამუშაოზე— პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივნად. 1928-დან 1932 წლამდე სწავლობდა სტალინის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1932-1934 წლებში ამხ. კულუხოვი რესპუბლიკის ერთ-ერთი მშენებლობის უფროსი იყო.

1934-დან 1941 წლამდე ამხ. კულუხოვი პასუხსაგებ სამუშაოზეა საბჭოთა აპარატში.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ პარტიამ იგი გაგზავნა პოლიტიკურ სამუშაოზე წითელ არმიაში.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ამხ. კულუხოვი სამხრეთ ოსეთში დაბრუნდა. აქ 1947-დან 1948 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად.

1948 წლის აპრილიდან ამხ. კულუხოვი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

ამხ. კულუხოვი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1921 წლიდან. იგი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი.

# უნგრეთის მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებისადმი

**ბუდაპეშტი**, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნებულია უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 თებერვალს უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მისიებს ბუდაპეშტში. ნოტა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მისიას გადაეცა ჯაშუშ იმრე გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების მთავრობას აცნობებს: „სასამართლო გამოძიების მსვლელობაში გამოირკვა, რომ იმ საბოტაჟისა და ჯაშუშობის უშუალო ხელმძღვანელი, რომლებზეც ლაპარაკია საბრალდებო აქტში, იყო ამერიკელი პოლკოვნიკი რობერტ ფოგლერი. იგი თავისი აგენტების მეშვეობით აგროვებდა სახელმწიფო საიდუმლოებებს, რომლებიც ეხებოდა უნგრეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესებს, და თვითონ თავისი სამსახურებრივი საქმიანობის საფარველით ეწეოდა ჯაშუშობასა და საბოტაჟს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სასამართლო პროცესზე დამტკიცდა, რომ ჯაშუშთა და მესაბოტაჟეთა ჯგუფის საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო უნგრეთის სახელმწიფოს ინტერესთა წინააღმდეგ, აქტიურად უწყობდა ხელს შეერთებული შტატების ბუდაპეშტის მისიის ზოგიერთი თანამშრომელი. ფოგლერი მუდმივად და სისტემატურად იყენებდა მისიის აპარატს თავისი ჯაშუშური საქმიანობის განსახორციელებლად. მაგალითად, ფოგლერი თავის ჯაშუშურ კორესპონდენციას გზავნიდა ამერიკის შეერთებული შტატების მისიის შიფრით...

[illegible]

ნოტა, რომელიც ინგლისის ბუდაპეშტის მისიას გადაეცა, ინგლისის მთავრობას აცნობებს შემდეგს:

„ინგლისელი მოქალაქის სენდერსის საქმისადმი დიდი ბრიტანეთის მისიამ მეტად დიდი ინტერესი გამოიჩინა. გეიგერისა და მის თანამონაწილეთა პროცესმა დაამტკიცა, რომ მაიორი ედ-...

...მტრულად განწყობილია სახალხო-დემოკრატიული წყობილებისადმი. უნგრეთის მთავრობა იძლევა კითხვას: სწორად მიაჩნია თუ არა ბრიტანეთის მთავრობას, რომ მის ბუდაპეშტის მისიაში მუშაობდეს ისეთ უნგრელ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა, რომლებიც, როგორც ცნობილია, უნგრეთის სახალხო დემოკრატიის მტრები არიან?"

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო

**პეკინი**, 26 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის...

[illegible]

...არა მარტო გაამტკიცებს ამ ორ ქვეყანაში სახალხო-განმათავისუფლებელ ომში მოპოვებულ გამარჯვებებს, არამედ ხელსაც შეუწყობს აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას და საყოველთაო მტკიცე მშვიდობისა და სახალხო დემოკრატიისათვის მებრძოლი ძალების განმტკიცებას. მხურვალე საბრძოლო სალამს გიძღვნით თქვენ და მთელ ვიეტნამელ ხალხს.

# ინგლისის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგებისათვის

**ლონდონი**, 25 თებერვალი. (საკდესი). ლონდონის რადიომ დღეს საღამოს გადასცა ცნობები თემთა პალატის არჩევნების შედეგების შესახებ 621 საარჩევნო ოლქში (საერთო რიცხვია 625). ამ ცნობების მიხედვით თემთა პალატაში არჩეულია:

ლეიბორისტები — 315, კონსერვატორები და მათი მომხრეები (ნაციონალ-ლიბერალები)—294, ლიბერალები — 8, სხვა პარტიების წარმომადგენლები — 3. გარდა ამისა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხელახლა არჩეულია კლიფტონ ბრაუნი, თემთა პალატის წინანდელი სპიკერი.

შოტლანდიის საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგები შემდეგ გამოქვეყნდება. მოს საიდის (მანჩესტერი) საარჩევნო ოლქში კენჭისყრა მოხდება 9 მარტს იმის გამო, რომ კონსერვატიული პარტიის კანდიდატი საარჩევნო კამპანიის დროს გარდაიცვალა.

# ეტლის განცხადება

**ლონდონი**, 25 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლეიბორისტების ლიდერმა, ინგლისის მთავრობის მეთაურმა ეტლიმ დღეს განაცხადა, რომ ის შეადგენს ახალ ლეიბორისტულ მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი საყოველთაო არჩევნების შედეგად მისმა პარტიამ ფრიად უმნიშვნელო უმრავლესობა მიიღო. დღეს შედგა მთავრობის სხდომა, რომელზეც ყველა მინისტრმა თავისი პორტფელი გადასცა ეტლის განკარგულებაში.

ეტლი მთავრობის რეორგანიზაციას მოახდენს და ცვლილებებს დაახლოებით სამ-ოთხ დღეში გამოაქვეყნებს.

# ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ყრილობაზე

**ჩიკაგო**, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ჩიკაგოში გაიხსნა პროგრესული პარტიის ყრილობა, რომელზეც შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროგრესული პარტიის თავმჯდომარემ, მინესოტის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ელმერ ბენსონმა.

ბენსონმა აღნიშნა, რომ ყრილობა იმ მომენტში იკრიბება, როცა 380.000 მაღაროელი მამაცურად უწევს წინააღმდეგობას ტაფტ-ჰარ-...

შემდეგ უოლესმა განაცხადა, რომ უმუშევრობის ზრდა და ვალუტების დევალვაცია ევროპაში ადასტურებს, რომ მარშალის გეგმა არ ვარგა. „კომუნიზმის შეკავების პოლიტიკა ჩაიშალა ჩინეთში და მთელ აზიაში, — თქვა მან.— ატომური ბომბებით რუსების დაშინების პოლიტიკა რუსულმა ბომბმა ააფეთქა". უკანასკნელ თვეებში, განაგრძო უოლესმა, ჩვენ ვხედავთ ამ მარცხის მნიშვნელობის უკეთ გაგებას...

[illegible]

უოლესი მოუწოდებდა ბოლო მოეღოს ამერიკულ ფაშიზმს, რომელიც უფრო და უფრო აგრესიული ხდება.

...შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ. მიუხედავად მთელი სიძნელეებისა, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას ხალხთან ერთად.

# საომარი მოქმედება ცენტრალურ ვიეტნამში

**დელი**, 25 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის რადიომ გადმოსცა მე-4 სამხედრო ზონის ჯარების შტაბის კომუნიკე.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ვიეტნამის ჯარები დეკემბრისა და იანვრის განმავლობაში განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ფრანგების წინააღმდეგ ბინ-ტრი-ტიენის სექტორში (ცენტრალური ვიეტნამი). ამ პერიოდში ფრანგებმა ბრძოლებში დაკარგეს 1.100 კაცი და 500 ერთეული სხვადასხვა საჭურველი, აგრეთვე 2 ორთქლმავალი, 15 ვაგონი და 20 სატვირთო მანქანა.

ვიეტნამის ჯარებმა ბინ-ტრი-ტიენის სექტორში მოიგერიეს საფრანგეთის ჯარების ყველა იერიში ამ რაიონში და უკუაგდეს ფრანგები თავდაცვითს პოზიციებამდე.

ტაი ნგო-ტინის სექტორში, ბინ-ტრი-ტიენის ჩრდილოეთით, ვიეტნამის ჯარებმა გაათავისუფლეს 8 დასახლებული პუნქტი, რომლებიც ფრანგებს ეკავათ.

# ცენტრალური წინასაარჩევნო ლექტორიუმი

საქართველოს სსრ [illegible] ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აკადემიკოს [illegible] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) მოაწყო ცენტრალური წინასაარჩევნო ლექტორიუმი. იგი მომსახურებას გაუწევს საარჩევნო კომისიების წევრებს, მომხსენებელთა ჯგუფების წევრებს, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, აგიტპუნქტების გამგეებსა და ამომრჩევლებს.

ლექტორიუმში ყოველდღიურად მოეწყობა საზოგადოების ნამდვილი წევრების ლექციები, საუბრები, კონსულტაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ლექტორიუმთან შექმნილია სამკითხველო, რომელიც უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით, საცნობარო და თვალსაჩინო მასალებით.

ლექტორიუმი ღიაა ყოველდღე საღამოს 6-დან 10 საათამდე. კონსულტაციები ეწყობა ყოველდღე 6-დან 8 საათამდე, ლექციები იწყება საღამოს 8 საათზე.

# კინოფილმები ამომრჩეველთათვის

ქალაქის კინოფიკაციის განყოფილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ამომრჩეველთათვის აწყობს კინოფილმების ჩვენებას სააგიტაციო უბნებში. ნაჩვენები იქნება „ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს", „სტალინგრადის ბრძოლა", „რუსეთის საკითხი", „ბედნიერი შეხვედრა" და სხვ.

# მწერალთა კლუბში

**სამშაბათს, 28 თებერვალს, საღამოს 8 საათზე,** მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) **გიორგი ლეონიძე** წაიკითხავს მოხსენებას **„ორი კვირა რუმინეთში"** (შთაბეჭდილებანი).

# შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან

**28 თებერვალს, საღამოს 8 საათზე,** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ეწყობა შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან **ი. ნონეშვილთან, რ. მარგიანთან** და **შ. ამირეჯიბთან.**

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

# ლექციები

**28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შედგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

**28 თებერვალს, საღამოს 7 საათზე,** საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ცენტრალურ წინასაარჩევნო ლექტორიუმში (აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორია, ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ **ი. მელქაძის** ლექციას თემაზე: **„საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია".**

დასწრება თავისუფალია.

# თეატრებში

**28 თებერვალს:** ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა" (პირველი აბ. მე-9 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები" (მე-13 სერიის მე-7 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ძველი სახლი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ფარული ომი"; **სომხური დრამის** — „ვინ არის დამნაშავე" (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გორკის ბავშვობა" (74-ე აბ. 5 ს.); **თოჯინების რუსული** — „ქარიყლაპიას ბრძანებით" (10, 12-30 წ.).

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**გ. ნანიტაშვილი**

# ცვლილებანი უნგრეთის მთავრობის შემადგენლობაში

**ბუდაპეშტი**, 26 თებერვალი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა, სადაც ნათქვამია:

„მინისტრთა საბჭოს 24 თებერვლის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა იშტვან დობიმ განაცხადა, რომ ფინანსთა მინისტრმა იშტვან კოშამ, განათლებისა და კულტთა მინისტრმა დიულა ორტუტაიმ, მშენებლობის მინისტრმა იოჟეფ დარვაშმა განაცხადეს თავიანთი გადადგომა. მინისტრთა საბჭომ გადადგომა ცნობად მიიღო და წარუდგინა სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს.

25 თებერვალს შედგა სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც პრეზიდიუმის ... დადგომა. პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო გადადგომა და პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით ასრულება დაავალა პრეზიდიუმის წევრ პიროშკა საბოს. ამის შემდეგ სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღო იშტვან კოშის, დიულა ორტუტაის და იოჟეფ დარვაშის გადადგომა და გაათავისუფლა ისინი თავიანთი პოსტებიდან. პრეზიდიუმმა ფინანსთა მინისტრად დანიშნა კაროლ ოლტი, განათლებისა და კულტთა მინისტრად — იოჟეფ დარვაში, მშენებლობის მინისტრად — ლასლო შანდორი.

ახალმა მინისტრებმა ფიცი მისცეს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ...

[illegible]

...მდივანმა კაროლ ოლტმა განაცხადა თავისი გა-... ...არპად საკაშიის.

# ხანძარი პრინსტონის ატომურ ლაბორატორიაში

**ლონდონი**, 25 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პრინსტონიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) გადმოგვცემს, დღეს პრინსტონში ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ფიზიკური ლაბორატორია მასში არსებული მძლავრი ციკლოტრონით, რომელიც 18 მილიონი დოლარი ღირდა და რომელსაც იყენებდნენ ატომური ბომბების წარმოებაში. ხანძრის მიზეზი გამორკვეული არ არის.

---

...დაცვის სამინისტროს მალარიისა და სამედიცინო ...ლებათა) ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** შემდეგ ...

...ელების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1,
...შემსწავლელი კაბინეტის გამგე — 1.
...ი უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სა-... ...ხადების დღიდან.

[illegible]

მშობლები ვერა, ლევან, ძმა დათუნა, და ლენა, სიძე ოთარ წირქვაძე იუწყებიან **ადა ლევანის ასულ კელენჯერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-II, 1-III, 7 ს. 30 წ., გამოსვენება 2-III, 5 ს. გოგოლის, 45.

ბიძა ანტონ, ბიცოლა თამარ, ბიძაშვილები მანანა და ზურიკო კელენჯერიძეები იუწყებიან ...

[illegible]

გ. თარხნიშვილი, დ. კანდელაკი, პ. ნემსაძე, ა. გელოვანი, შ. ტყავაძე, ბ. ხომერიკი, რ. თალაკვაძე, თანაგრძნობას უცხადებენ ა. ჭიჭინაძეს მისი ძმის **დიმიტრი მიხეილის-ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო.

ა. გორიაჩევი, ა. ურუშაძე, დ. ძველაია, პ. პელიძე, ვ. ლამბაშიძე, ც. მირცხულავა, ...

[illegible]

...მუჯირი, ნ. ხახიშვილი, გ. ღლონტი, თ. ჯაყელი, ბ. ჩიტაიშვილი, ა. სარჯველაძე, ლ. შილაკაძე, ე. ლეჟავა, ქ. გიორგაძე, მ. კახიანი, ც. ჩხაიძე, ე. ჩიხლაძე, მ. ნიკოლაიშვილი, თ. კახნიაშვილი იუწყებიან **ანეტა ხაირიდინის ასულ ლიტვაკის** გარდაცვალებას.

ელენე, ააკი, გოგუცა, კაროლი, ელენე, კაპიტონ ანთაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ლენა და სიმონ ანთაძეებს მათი დედის **მაშო ქაიხოსროს ასულ ბაქრაძე-აბაშიძის** გარდაცვალების გამო.

...გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-II, 1-III, 8 ს. გამოსვენება 2-III, 5 ს. ნინოშვილის, 54.

პარასკევა და ვალოდია სალაძეები შვილებით იუწყებიან **ნონა ივანეს ასულ სალაძის** გარდაცვალებას.

...მამა, რაშა, რძლები ანიკა, ვერა, თამარ, ... ...შვილიშვილები ალექსანდრე, შოთა, იდგუმა, ... ...იუწყებიან **ანდრო იოსების-ძე ჩოჩიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II, სოფ. ქვენატკოცაში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სახოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მთავარი და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უჲ 00427